



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



ბრძანება: 62.62212033

თარიღი: 22/07/2021

ქალაქ სამტრედიაში, ძმები გოგიების ქუჩაზე მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (1691.00 კვ.მ) მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.72.120) მდებარე №1 შენობა-ნაგებობის პრივატიზების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“-ქვეპუნქტის, „და“-ქვეპუნქტის, „ე“-ქვეპუნქტის „ე.ე“-ქვეპუნქტის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების“ მე-2 მუხლის „ი“-ქვეპუნქტის და 34-ე მუხლის პირველი პუნქტის და სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 21 ივლისის №გ-63.63212025 განკარგულების მიხედვით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

- 1.1.** ქალაქ სამტრედიაში, ძმები გოგიების ქუჩაზე მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (1691.00 კვ.მ) მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.72.120) მდებარე №1 შენობა-ნაგებობის პრივატიზება განხორციელდეს პირობიანი ელექტრონული აუქციონის ფორმით.
- 1.2.** პირობიან ელექტრონულ აუქციონზე ქალაქ სამტრედიაში, ძმები გოგიების ქუჩაზე მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (1691.00 კვ.მ) მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.72.120) მდებარე №1 შენობა-ნაგებობის საწყისი საპრივატიზებო საფასურად განისაზღვროს 7500 (შვიდიათასხუთასი) ლარი.
- 1.3.** პირობიან ელექტრონულ აუქციონზე ქალაქ სამტრედიაში, ძმები გოგიების ქუჩაზე მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (1691.00 კვ.მ) მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.72.120) მდებარე №1 შენობა-ნაგებობის ბიჯის ოდენობად განისაზღვროს 500 (ხუთასი) ლარი.
- 1.5.** პირობიან ელექტრონულ აუქციონზე ქალაქ სამტრედიაში, ძმები გოგიების ქუჩაზე მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (1691.00 კვ.მ) მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.72.120) მდებარე №1 შენობა-ნაგებობის

საგარანტიო თანხის ოდენობად განისაზღვროს 4000 (ოთხიათასი) ლარი.

1.5. პირობად განისაზღვროს, რომ:

1.5.1. შენობა-ნაგებობისა და მისგან წარმოშობილი ნარჩენების გატანა უნდა განახორციელოს აუქციონში გამარჯვებულმა პირმა.

1.5.2. შენობა-ნაგებობისა და მისგან წარმოშობილი ნარჩენების გატანის ხარჯები გაწეულ უნდა იქნეს აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ.

1.5.3. შენობა-ნაგებობისა და მისგან წარმოშობილი ნარჩენების გატანის ვადად განისაზღვროს 45 (ორმოცდახუთი) დღე. აღნიშნული 45 (ორმოცდახუთი) დღიანი ვადა აითვალოს აუქციონში გამარჯვებულ პირთან ხელშეკრულების დადებიდან.

1.5.4. ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა პირმა ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში უნდა გადაიხადოს მუნიციპალიტეტის შეძენილი ქონების სრული ღირებულება.

2. თუ ელექტრონული აუქციონი არ შედგა იმ მიზეზით, რომ ელექტრონულ აუქციონში რეგისტრირებული პირები, რომლებმაც გადაიხადეს ბე ან წარადგინეს/გაააქტიურეს (ელექტრონულად) უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია, არ მიიღებენ მონაწილეობას ვაჭრობაში, ელექტრონული აუქციონის მონაწილეების მიერ გადახდილი ბე ან წარდგენილი/გააქტიურებული (ელექტრონულად) უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია სრულად ჩაირიცხება სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

3. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

ვალერიანე ფოცხვერია

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

